NEWSLETTER #4

ოქტომბერი-დეკემბერი, 2021

#უკეთესიგანათლებისთვის

I2Q პროექტი - განათლების რეფორმის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი მექანიზმი

პროექტი ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი – საქართველო I2Q (IBRD) ეფუძნება საერთაშორისო სასესხო ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოს მთავრობამ გააფორმა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან (IBRD) 2019 წლის 18 ივნისს (სასესხო ხელშეკრულება N8955-GE).

პროექტს, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მუნიციპალური განვითარების ფონდი.

პროექტი მოიცავს 5 ძირითად კომპონენტს:

1. ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება
2. ზოგადი განათლების საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით
3. უმაღლესი განათლების სფეროში დაფინანსების შესაძლებლობების გაუმჯობესება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა
4. განათლების მონაცემთა სისტემის განვითარება, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისა და კოორდინაციის გაძლიერება
5. პროგრამის მართვის, მონიტორინგისა და შეფასებების მხარდაჭერა

პროექტი ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი – საქართველო I2Q (IBRD)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსების შესაძლებლობები განიხილეს



საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია IBF (ბელგია) უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელების განვითარებაზე მუშაობას განაგრძობს. საკონსულტაციო მომსახურების 40-წლიანი გამოცდილების მქონე IBF-მა ამ ეტაპზე წარმოადგინა დაფინანსების ახალი მიდგომების სამუშაო ვერსია წარმოდგენილი დოკუმენტის განხილვის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, მსოფლიო ბანკისა და ექსპერტთა კორპუსის ჩართულობით, 5 ოქტომბერს სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

ვრცლად

CIF-ის მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავებასთან დაკავშირებული სამუშაოს მიმდინარეობა განიხილეს

25 ოქტომბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გაიმართა სამუშაო შეხვედრა მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩსა და უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის თანამშრომლებთან. სამუშაო შეხვედრის ფორმატში, I2Q პროექტის უმაღლესი განათლების კომპონენტის ხელმძღვანელმა, ნინო ბეგიაშვილმა, სამინისტროს წარმომადგენლებს გააცნო ინოვაციების ფონდის (CIF) მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავებასთან დაკავშირებით მიმდინარე სამუშაოს შედეგები და მიღწეული პროგრესი.

ვრცლად

სკოლამდელი განათლების დიაგნოსტიკური კვლევის საწყისი და პირველადი ანგარიშების პრეზენტაცია გაიმართა

I2Q პროექტის ფარგლებში სკოლამდელი განათლების დიაგნოსტიკური კვლევა მიმდინარეობს. კვლევა მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას: 1. სკოლამდელი განათლების სექტორის ძირითადი საკითხებისა და ხარვეზების იდენტიფიცირებას და 2. ყოვლისმომცველ შეფასებას, ასევე, სასკოლო მზაობაზე მოთხოვნასა და მიწოდებაში არსებული სირთულეების მიმოხილვას. სკოლამდელი განათლების დიაგნოსტიკურ კვლევაზე მუშაობს საერთაშორისო ტენდერის გზით შერჩეულ ორგანიზაციათა გაერთიანება – PPMI Group UAB (ლიეტუვა), International Step By Step Association (ISSA) (ნიდერლანდები) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი და ინკლუზიური განათლების ცენტრი.

ვრცლად

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგიის დოკუმენტზე მუშაობა დაიწყება

I2Q პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხუთწლიანი საკომუნიკაციო სტრატეგიისა და ორწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. ამ დავალების შესასრულებლად, მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი რეგულაციების მიხედვით, კონკურსის საფუძველზე შეირჩა კომპანია Publicity Group. კომპანიის წარმომადგენლებთან 22 ნოემბერს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, საორინტაციო შეხვედრა გაიმართა.

ვრცლად

I2Q პროექტის საკოორდინაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა

პროექტის ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი – საქართველო (IBRD) მორიგი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართა. შეხვედრა 26 ნოემბერს ონლაინ ფორმატში ჩატარდა.

სხდომის დღის წესრიგი მოიცავდა I2Q პროექტის კომპონენტების მიღწევებისა და შედეგების შესახებ საკოორდინაციო საბჭოს წევრებისთვის ინფორმაციის მიწოდებას.

ვრცლად



დონორთა მორიგი საკოორდინაციო შეხვედრა ჩატარდა

21 დეკემბერს I2Q პროექტის ორგანიზებით გაიმართა დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა, რომელსაც საქართველოში მომუშავე ყველა მსხვილი დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრა მიზნად ისახავდა პროექტის ფარგლებში, ადრეული და სკოლამდელი განათლების და ზოგადი განათლების საფეხურებზე მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების განხილვას. შეხვედრაზე პროექტის ადრეული და სკოლამდელი განათლების კომპონენტის ხელმძღვანელმა თამარ ჭყონიამ და ზოგადი განათლების კომპონენტის ხელმძღვანელმა ლია გიგაურმა წარმოადგინეს პრეზენტაციები და შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს მიმდინარე აქტივობები.

ვრცლად